დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი“

ავტორიზაცია

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნატო გაბოშვილი
წევრები:
ვარლამ ავალიშვილი
მადონა გოგობერიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2019 წელი

დანართი №2

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: ა(ა)იპ

საიდენტიფიკაციო კოდი: 217890192

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

2019 წლის 8,9 და 10 ივლისს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის 21 ივნისის N503 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადში“ , დაწესებულების პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით. ექსპერტების მიერ წინასწარ მომზადდა დღის წესრიგი, რომლის შესაბამისად განხორციელდა აქტივობები.

აღნიშნულ კოლეჯს , 2014 წლის 29 აგვისტოს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (გადაწყვეტილება N27) მიენიჭა 18 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (საგნობრივი პროგრამები) განხორციელების უფლება. ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით 2018 წლის 12 სექტემბერს (გადაწყვეტილება N175) კოლეჯმა მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: „სამღებრო სამუშაოების შესრულება“, „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი", „იატაკის და ფილის სამუშაოები“, „მეფუტკრე“ - განხორციელების უფლება. მიმდინარე ვიზიტი რეავტორიზაციის მიზნით განხორციელდა.

საქართველოს პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე 2019 წლიდან კოლეჯი იწოდება „ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი“.

დაწესებულება განთავსებულია ქ. გორში, ბესიკის ქ.N2 -ში მდებარე შენობის მეორე სართულზე, რომელიც ეკუთვნის ქ. გორის სასწავლო უნივერსიტეტს, სადაც ახორციელებს სწავლების როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ კომპონენტებს. პრაქტიკული კომპონენტების სწავლებისთვის ასევე იყენებს კოლეჯის მიმდებარედ, ჭონქაძის N3-ში არსებულ ბაზას გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან 2018 წელს გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე.

კოლეჯს განაცხადი წარმოდგენილი აქვს 5 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და მოთხოვნილ სტუდენთა რაოდენობა:

1.სამღებრო სამუშაოების შესრულება- 24 პროფესიული სტუდენტი

2. თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი - 24 პროფესიული სტუდენტი

3. იატაკისა და ფილის სამუშაოები- 48 პროფესიული სტუდენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

4. *სამკერვალო წარმოება- 60 პროფესიული სტუდენტი*

5. თმის მომსახურება- 56 პროფესიული სტუდენტი

ვიზიტის პერიოდში ადგილზე გადამოწმდა დოკუმენტაცია, ელექტრონული ბაზები. პრაქტიკის ობიექტები. განხორციელდა გასაუბრება ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ექსპერტთა მოსაზრება პროფესიულ პროგრამების მიხედვით კვოტების განსაზღვრასთან დაკავშირებით, არსებული მატერიალური თუ ადამიანური რესურსის გათვალისწინებით ემთხვევა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ნორმას, 4 პროგრამის შემთხვევაში, ხოლო ერთ შემთხვევაში პროგრამის „სამკერვალო წარმოება" ფარგლებში, პრაქტიკის ობიექტების დათვალირების შედეგად ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ აღნიშნული რესურსი მხოლოდ 45 პროფესიული სტუდენტის მოთხოვნას აკმაყოფილებს.

კოლეჯი ასევე ახორციელებს მოკლევადიან მომზადება-გადამზადების პროგრამებს, ჩართულია „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამაში".

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

დანართი №2

მდგომარეობა (ახალი/ არსებული)	სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	შენობა-ნაგებობების ფართი	მისამართების რაოდენობა და მდებარეობა (ერთ მისამართზე/სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში/ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში)
არსებული	197	5	24	1040 $მ^2$	ქ. გორი, ბესიკის ქ.N2 (ერთ მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	□
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	□
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	□
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	□
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	☐
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	☐
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	☐
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	☐
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	☐
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	☐
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	☐
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	☐
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	☐
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	☐
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	☐
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	☐
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	☐
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	☐
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	☐
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	☐

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

VI. რეკომენდაციების შეჯამება

1. *დაწესებულებამ უზრუნველყოს* პროგრამების განხორციელების პერიოდისთვის ფართით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოწესრიგება, რამეთუ ფართის ფლობის დამადასტურებელ ხელშეკრულებას ვადა გასდის 2019 წლის 21 აგვისტოს. ამ ვადის შემდეგ დაწესებულებას შეეზღუდება უფლებამოსილება არსებული მატერიალური რესურსის გამოყენების. *2.1.ა) ქვესტანდარტი*
2. *დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული განათლების მასწავლებლების აქტიური ჩართულობა მოდულების ადაპტირების პროცესში; ასევე საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებლებთან ინტენსიური მუშაობა მოდულური პროგრამის თავისებურებების გაცნობის, ავთენტური მტკიცებულებების მოპოვების მიზნით; ქვესტანდარტი 1.1.*
3. *დაწესებულებამ უზრუნველყოს კორესპოდენციებისა და გამოცემული აქტების რეგისტრაციის ჟურნალების შესაბამისი წესით დამუშავება: აკინძვა, ზონარის გაყრა.ქვესტანდარტი 2.5*
4. *დაწესებულებამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკაში განთავსებული სამღებრო სამუშაოების შესრულების მოდულის ფარგლებში მითითებული ლიტერატურის ფერადი ქსეროასლის განთავსება. ქვესტანდარტი 2.3*
5. *დაწესებულებამ უზრუნველყოს მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისობაში მოყვანა დაწესებულების წესდებასთან და პროფესიულ კანონთან.*
6. *სასურველია გაიწეროს ასევე რეგულაციები კოლეჯისთვის ახალი წესდებით მინიჭებული უფლება-მოვალეობების შესაბამისად, კერძოდ, მომზადება/გადამზადების პროგრამებისთვის მსმენელის სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის რეგულაცია და ა.შ. ქვესტანდარტი 1.4.*
7. *სასურველია, დაწესებულებამ გადახედოს პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის წესებს და პროცედურებს, დააზუსტოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისთვის საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი.ქვესტანდარტი 1.4.*
8. *სასურველია კატალოგი მოიცავდეს დაწესებულების მიერ მიწოდებული სხვადასხვა სერვისების, აქტივობების, მიღწევების, მთავარი ფასეულობების, პარტნიორი ორგანიზაციების, სხვადასხვა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

პროექტებში ჩართულობის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებულ, სტუდენტების მიღების წესსა და სხვა ინფორმაციას.ქვესტანდარტი 1.2.

9. *სასურველია დაწესებულებამ მოიყვანოს შესაბამისობაში გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები და გაწეროს აღნიშნული გეგმებით გათვალისწინებული აქტივობების შეფასების ინდიკატორები.ქვესტანდარტი 2.9.*
10. *სასურველია პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში დაკონკრეტდეს მოთხოვნილი მინიმალური განათლების დონე, სამუშაო გამოცდილება და მისი ხანგრძლივობა. ასევე ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის განთავსების ადგილი. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამსახურში აყვანის პროცესის მეტ გამჭვირვალობას, ქვესტანდარტი 3.1.*
11. *სასურველია სასწავლო გეგმაში პროფესიული სტუდენტის დატვირთვა ერთიდაიგივე მოდულში კვირების მიხედვით იყოს ერთნაირი, ვინაიდან სხვადასხვა კვირეული დატვირთვა განაპირობებს დაწესებულების მიერ ცხრილის ყოველი სასწავლო კვირისთვის შეცვალასა და მის ხელახალ შედგენას, რაც დამატებით შრომასთანაა დაკავშირებული და ზრდის შეცდომის დაშვების ალბათობას, ასევე დამატებითი შრომაა ტარიფიკაციისა და ტაბელის შედგენისას. შესაბამისად, სასურველია სასწავლო გეგმები გადაიხედოს და პროფესიული სტუდენტის დატვირთვა სასწავლო კვირების მიხედვით ერთიდაიგივე მოდულში გახდეს თანაბარი. ასევე სასურველია სასწავლო გეგმაში გამოიყოს შეფასების საათები იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს შეფასების კვირის დადგენა. ასევე სასურველია შემუშავდეს და დეტალურად გაიწეროს პროფესიული სტუდენტის შეფასებისათვის საჭირო აქტივობები, კერძოდ: როდის და როგორ ხდება სწავლის შედეგების შეფასება, ფასდება თუ არა სწავლის შედეგები ცალ-ცალკე, რამდენიმე ერთად, ან ყველა ერთად, როდის, რა სახით უნდა წარმოადგინოს სწავლის შედეგების შესრულების მტკიცებულებები სტუდენტმა, რა რესურსის გამოყენება შეუძლია მას სწავლის შედეგის დადასტურებისთვის, როგორია სტუდენტის ვალდებულებები მტკიცებულებების წარდგენისას, როგორ არის შესაძლებელი შეფასების შედეგების გაპროტესტება მის მიერ, რა მექანიზმითა და როგორაა შესაძლებელი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

დანართი №2

განმეორებითი შეფასების განხორციელება, როგორ ხორციელდება შიდა ვერიფიკაცია, როგორ ხდება კვალიფიკაციის მინიჭება და ვინ იღებს მასში მონაწილეობას. ***ქვესტანდარტი 1.1.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

VII. დაწესებულების მისია

ა(ა)იპ კოლეჯის "განთიადი" მისიაა, მოამზადოს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კუნკურენტუნარიანი, კვალიფიციური, მაღალი ზნეობრივი ფასეულობების მქონე კადრები, რითაც ხელს შეუწყობს დემოკრატიული საზოგადოების განვითარებას, ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

სტანდარტების შეფასება

1. **საგანმანათლებლო პროგრამები**

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
ამ ეტაპზე დაწესებულება ძირითადად მილევად რეჟიმში ახორციელებს 8 საგნობრივ საგანმანათლებლო პროგრამას და ერთ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ „ მეფუტკრის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც დაწესებულებამ დაიმატა ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბერს გადაწყვეტილებით (გადაწყვეტილება N175).
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების საგნობრივ პროგრამებზე ავტორიზაციის ვადა უსრულდება 2019 წლის 29 აგვისტოს, ხოლო საგნობრივი პროგრამების უმეტესობა სრულდება ივლისში, მხოლოდ ორი პროგრამა „ დურგალი“ და „ელექტრიკოსი“ დასრულდება აგვისტოს პირველ ნახევარში. ზოგადად, დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერის განმარტებით, საგნობრივ პროგრამებზე სასწავლო პროცესი, საგამოცდო პროცესისა და განმეორებითი გამოცდის ჩათვლით დაწესებულებას წინასწარ აქვს გაწერილი და სრულდება 20 აგვისტოს.
რეესტრის მონაცემებით ჯამში, მილევად რეჟიმში აღნიშნულ პროგრამებზე სულ სწავლობს 141 პროფესიული სტუდენტი: „მასაჟი“- 26, „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი“ – 12, „შემდუღებელი“ - 15, „დურგალი“ - 7, „ხილ-ბოსტნეულის გადამმუშავებელი“-6, „ოფისის მენეჯერი“- 34, „ზეინკალ-სანტექნიკოსი“-21, „ელექტრიკოსი“-14 და „მეფუტკრე“ – 6.

ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბერს გადაწყვეტილებით (გადაწყვეტილება N175). დაწესებულებამ კიდევ დაიმატა სამშენებლო მიმართულების სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „თაბაშირ - მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, „სამღებრო სამუშაოების შესრულება“ და „იატაკისა და ფილის სამუშაოები“, რომელთაგან ორზე ჯამში ირიცხება 19 პროფესიული სტუდენტი: „თაბაშირ - მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“- 12, სამღებრო სამუშაოების შესრულება“ - 7.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

აღნიშნულ პროგრამებზე სასწავლო პროცესი სრულდება 2019 წლის ოქტომბერ-ნოემბერში.
ამჯერად დაწესებულებამ ავტორიზაციისთვის წარმოადგინა ხუთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელთა განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს: „სამღებრო სამუშაოების შესრულება“, „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, „იატაკისა და ფილის სამუშაოები“, „სამკერვალო წარმოება“ და „თმის მომსახურება“

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თაბაშირ - მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ მოიცავს საერთო 7 ზოგად მოდულს ჯამური 18 კრედიტის ოდენობით, 3 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 5 კრედიტის ოდენობით,5 სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ მოდულს ჯამური 35 კრედიტის ოდენობით, 2 არჩევით მოდულს ჯამური 8 კრედიტის ოდენობით, კედლის დაფარვის სამუშაოებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს ჯამურად **66** კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობა 46 კვირა.
ქართული ენა A2 შემთხვევაში კედლის დაფარვის სამუშაოებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს ჯამურად **81** კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობა 56 კვირა.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ მოიცავს 7 ზოგად მოდულს ჯამური 18 კრედიტის ოდენობით, 3 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 5 კრედიტის ოდენობით, 9 პროფესიულ მოდულს ჯამური 59 კრედიტის ოდენობით. იატაკისა და ფილის სამუშაოებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს ჯამურად **82** კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობა 59 კვირა.
ქართული ენა A2 შემთხვევაში კედლის დაფარვის სამუშაოებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს ჯამურად **97** კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობა 69 კვირა.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამღებრო სამუშაოების შესრულება“ მოიცავს პროგრამა მოიცავს საერთო 7 ზოგად მოდულს ჯამური 18 კრედიტის ოდენობით, 3 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 5 კრედიტის ოდენობით, 7 სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ მოდულს ჯამური 35 კრედიტის ოდენობით. კედლის დაფარვის სამუშაოებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს ჯამურად **58** კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობა 41 კვირა.
ქართული ენა A2 შემთხვევაში კედლის დაფარვის სამუშაოებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს ჯამურად **73** კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობა 51 კვირა

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თმის მომსახურება“ მოიცავს 4 ზოგად მოდულს - ჯამური 10 კრედიტის მოცულობით, 7 საერთო პროფესიულ მოდულს - ჯამური 22 კრედიტის მოცულობით, 7 კონცენტრაციის მოდულს - ჯამური 25 კრედიტის მოცულობით; საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის თმისა და სილამაზის მომსახურებაში პირმა უნდა დააგროვოს ჯამურად **57** კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობა 41 კვირა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

ქართული ენა A2 შემთხვევაში კედლის დაფარვის სამუშაოებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს ჯამურად **72** კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობა **51** კვირა.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოება“ პროგრამა მოიცავს 6 ზოგად მოდულს, ჯამური 16 კრედიტის მოცულობით და 16 პროფესიულ მოდულს ჯამური 83 კრედიტის მოცულობით, სამკერვალო წარმოებაში საბაზო კვალიფიკაციის მინიჭებისათვის საჭიროა პირმა დააგროვოს **99** კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობა 75 კვირა.
ქართული ენა A2 შემთხვევაში კედლის დაფარვის სამუშაოებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს ჯამურად **114** კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობა **85** კვირა.

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების გადამოწმების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა შემდეგი გარემოებები: ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის, დირექტორის, მიერ. პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე დაწესებულება იცავს საკუთარ რეგულაციებს. კერძოდ, მის მიერ შემუშავებული წესის მოთხოვნებს: „ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ „განთიადის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების დამტკიცების და მასში ცვლილების შეტანის და პროგრამის გაუქმების წესი’. ბრძ. 79 (08.08.2018)

გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულაებას არ აქვს ცალკე „საწარმოო პრაქტიკის“ ობიექტები სამშენებლო მიმართულების პროგრამებზე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე მხოლოდ ორი პროგრამის ფარგლებში“ თმის მომსახურება“ და „ სამკერვალო წარმოება“.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „თმის მომსახურება“ გადამოწმდა ქ. გორში არსებული თმის სალონი „გოლდის“ 3 ობიექტი, რომელთანაც საგანმანათლებლო დაწესებულებას 2019 წლის 30 აპრილს გაფორმებული აქვს მემორანდუმი მრავალმხრივ თანამშრომლობაზე და ხელშეკრულება მხოლოდ პროფესიული სტუდენტების „საწარმოო პრაქტიკით“ უზრუნველყოფის თაობაზე პრაქტიკის სამივე ობიექტი მზადაა პროფესიული სტუდენტების მისაღებად, მათთვის სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად. განხორციელდა ინტერვიურება პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან, რომელთაც მზადყოფნა გამოთქვეს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაზე და შეფასების პროცესში მონაწილეობაზე.
აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კოლეჯს **განსაზღვრული აქვს საერთო კვოტა 56 პროფესიული სტუდენტით,** რაც გამიზნულია ორჯერადი მიღებისთვის. ანუ ერთდროულად პროგრამაზე **ისწავლის 28 პროფესიული სტუდენტი, რასაც სრულიად აკმაყოფილებს გადამოწმებული ობიექტები.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

გადამოწმდა ასევე **პროფესიულ** საგანმანათლებლო პროგრამაზე „სამკერვალო წარმოება“ ასევე გადამოწმდა მემორანდუმების/ხელშეკრულებების ფარგლებში „საწარმოო პრაქტიკის“ განსახორციელებლად შერჩეული ობიექტები. პრაქტიკის ობიექტები მზადაა პროფესიული სტუდენტების მისაღებად, მათთვის სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად. განხორციელდა ინტერვიუერება პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან, რომელთაც მზადყოფნა გამოთქვეს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაზე და შეფასების პროცესში მონაწილეობაზე.
ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა საწარმოო პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობა. ჯამში აღნიშნულ ობიექტებში არის 15 (3, 5 და 7) სამუშაო ადგილი. გამომდინარე ამ ფაქტობრივი რეალობიდან, ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამ ობიექტებში საწარმოო პრაქტიკის გავლა ერთდროულად მხოლოდ 15 პროფესიულ სტუდენტს შეუძლია. ამასთანავე ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა ზემოთხსენებული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა, რაც აღემატება 1,5 სასწავლო წელს. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის განმარტებით, ერთი მიღება ფარავს შემდეგი ორი მიღების კვოტას, თუმცა როდესაც პირველი მიღების პროფესიული სტუდენტები საწარმოო პრაქტიკის მოდულზე ობიექტებში არიან განაწილებული, კოლეჯს შეუძლია ახალი ჯგუფის მიღება და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპრტთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია „სამკერვალო წარმოების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის რაოდენობა განისაზღვრა 45 პროფესიული სტუდენტით სამი მიღების ფარგლებში - ერთ მიღებაზე 15 სტუდენტი.

ამგვარი გრაფიკი დაწესებულებას საშუალებას მისცემს სრულფასოვნად აითვისოს კვოტა, ვინაიდან კოლეჯს აქვს შეზღუდვა მხოლოდ საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტთა რაოდენობის განთავსების საკითხში. აღნიშნული გრაფიკით ყველა ჯგუფი სხვადასხვა დროს გაივლის საწარმოო პრაქტიკას და შესაბამისად, არ შეფერხდება სასწავლო პროცესი

გადამოწმებული ობიექტების ფაქტობრივი მოცემულობიდან გამომდინარე, კერძოდ, ობიექტების აღჭურვილობისა და ფართების გათვალისწინებით ერთდროულად შესაძლებელია არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული სწავლება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპრტთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია „სამკერვალო წარმოების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის რაოდენობა განისაზღვროს 45 პროფესიული განათლების სტუდენტით.

რაც შეეხება სამშენებლო მიმართულების ზემოთხსენიებულ სამ პროგრამას, კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ამ მიმართულებებზე პროგრამების პრაქტიკული კომპონენტი სრულად შეისწავლება აღნიშნული პროგრამებისთვის გამოყოფილ სახელოსნოებში (ქ. გორი, ჭონქაძის ქ.N3), რომლის მემურანდუმების ვადები იწურება 2019 წლის 21 აგვისტოს.
სასურველია სასწავლო გეგმაში პროფესიული სტუდენტის დატვირთვა ერთიდაიგივე მოდულში კვირების მიხედვით იყოს ერთნაირი, ვინაიდან სხვადასხვა კვირეული დატვირთვა განაპირობებს დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

მიერ ცხრილის ყოველი სასწავლო კვირისთვის შეცვალასა და მის ხელახალ შედგენას, რაც დამატებით შრომასთანაა დაკავშირებული და ზრდის შეცდომის დაშვების ალბათობას, ასევე დამატებითი შრომაა ტარიფიკაციისა და ტაბელის შედგენისას. შესაბამისად, სასურველია სასწავლო გეგმები გადაიხედოს და პროფესიული სტუდენტის დატვირთვა სასწავლო კვირების მიხედვით ერთიდაიგივე მოდულში გახდეს თანაბარი. ასევე სასურველია სასწავლო გეგმაში გამოიყოს შეფასების საათები იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს შეფასების კვირის დადგენა. ასევე სასურველია შემუშავდეს და დეტალურად გაიწეროს პროფესიული სტუდენტის შეფასებისათვის საჭირო აქტივობები, კერძოდ: როდის და როგორ ხდება სწავლის შედეგების შეფასება, ფასდება თუ არა სწავლის შედეგები ცალ-ცალკე, რამდენიმე ერთად, ან ყველა ერთად, როდის, რა სახით უნდა წარმოადგინოს სწავლის შედეგების შესრულების მტკიცებულებები სტუდენტმა, რა რესურსის გამოყენება შეუძლია მას სწავლის შედეგის დადასტურებისთვის, როგორია სტუდენტის ვალდებულებები მტკიცებულებების წარდგენისას, როგორ არის შესაძლებელი შეფასების შედეგების გაპროტესტება მის მიერ, რა მექანიზმითა და როგორაა შესაძლებელი განმეორებითი შეფასების განხორციელება, როგორ ხორციელდება შიდა ვერიფიკაცია, როგორ ხდება კვალიფიკაციის მინიჭება და ვინ იღებს მასში მონაწილეობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების წესდებით;
2. საგანმანათლებლო პროგრამებით;
3. საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება/ცვლილებების აქტებით;
4. „ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ „განთიადის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების დამტკიცების და მასში ცვლილების შეტანის და პროგრამის გაუქმების წესით, ბრძ. 79 (08.08.2018)
5. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები/ხელშეკრულებებით;
6. პრაქტიკის ობიექტების ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელიც განთავსებულია ოფიციალურ ვებ-გვერდზე, შემდეგ ბმულზე http://gantiadi.ge/ და მოიცავს: ინფორმაციას დაწესებულების შესახებ, საკონტაქტო ინფორმაციას, კატალოგში ანონსის სახით შეტანილია ინფორმაცია ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: „თაბაშირ-მუყაოს კონსტრქციები", „იატაკის და ფილის სამუშაოები", „სამღებრო სამუშაოების შესრულება", „თმის მომსახურება" და „სამკერვალო წარმოება". შესახებ. იგი მოიცავს პროგრამების აღწერილობას (ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, რომლის საფუძველზეც შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამა; სარეგისტრაციო ნომერი; მისანიჭებელი კვალიფიკაცია; მიზანი; დაშვების წინაპირობა; კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები; სტრუქტურა და მოდულები; პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა; სწავლის შედეგები). მიმდინარეობს მისი ყოველწლიური განახლება.

კატალოგში შეტანილია მონაცემები დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამების შესახებ, თუმცა იმ პროგრამებს, რომლის განხორციელების უფლება ჯერ არ მოუპოვებია კოლეჯს ანონსის სახით წამძღვარებული აქვს ჩანაწერი, რომ ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი" განახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ ქვემოთ მოყვანილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს მხოლოდ „ავტორიზაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში".

კატალოგში არ იძებნება ინფორმაცია: დაწესებულების მთავარი ფასეულობებზე, სტუდენტების მიღების შესახებ; პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ; ჩართულობა სხვადასხვა პროექტებში; ასევე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებული და სხვა ინფორმაცია. სასურველია კატალოგი მოიცავდეს დაწესებულების მიერ მიწოდებული სხვადასხვა სერვისების, აქტივობების, მიღწევების, მთავარი ფასეულობების, პარტნიორი ორგანიზაციების, სხვადასხვა პროექტებში ჩართულობის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებულ, სტუდენტების მიღების წესსა და სხვა ინფორმაციას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ვებგვერდზე http://gantiadi.ge/ განთავსებული კატალოგით.

შეფასება:

- ☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილია პროფესიული საგამანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების მიხედვით, რომლებიც დამტკიცებულია 2019 წლის 31 დეკემბერს: „სამკერვალო წარმოება“ - ბრძ. N 88/ი, „თმის მომსახურება“- ბრძ. N81/ი, „სამღებრო სამუშაოების შესრულება“, „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ და „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ („შენებლობის წარმოება“) - ბრძ.N 85/ი. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აღნიშნულ ჩარჩო დოკუმენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული პროგრამებით/სასწავლო გეგმებით;
2. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის დირექტორის 2019 წლის 30 მაისის №28 ბრძანებით;
3. ჩარჩო დოკუმენტებით.

შეფასება;

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას 2019 წლის 25 აპრილის N21 ბრძანებით შეტანილი აქნა ცვლილებები კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ (ბრძ. N86, 23.08.2018), სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

აღიარების წესები. ამავე წესში ასევე გაწერილია არასრულწლოვანი და უცხოეთში ან/და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების მქონე პირთა ჩარიცხვის, ასევე შშმ/სსსმ პირთა ჩარიცხვის რეგულაციები

თუმცა, სასურველია გაიწეროს ასევე რეგულაციები კოლეჯისთვის ახალი წესდებით მინიჭებული უფლება-მოვალეობების შესაბამისად, კერძოდ, მომზადება/გადამზადებისა და სხვა პროგრამების განხორციელების მექანიზმები, მსმენელის სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის რეგულაცია და ა.შ.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვისა და სტატუსის შეწყვეტის პროცედურა. პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა,რომ დაწესებულება ძირითადად იცავს მის მიერ შემუშავებულ რეგულაციებს. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტში გაწერილია, რომ „კოლეჯის დირექტორი ბრძანებით განსაზღვრავს პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ნუსხას და მათი წარდგენის ვადებს“. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის № 9/ნ ბრძანებით (2011 წლის 3 თებერვალი) დამტკიცებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის წესი და ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა (მუხლი 4)“ , სასურველი იქნებოდა დაწესებულებას მარეგულირებელ დოკუმენტებში თავადაც შეეტანა მსგავსი ნუსხა და ყოველ მიღებისთვის ინდივიდუალურად არ განსაზღვრულიყო.

სასურველია, დაწესებულებამ გადახედოს პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის წესებსა და პროცედურებს; მარეგულირებელ დოკუმენტში გაწეროს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტაციის ნუსხა. თუმცა რიგ შემთხვევებში პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ არასრულწლოვანი აპლიკანტის შემთხვევაში პირად საქმეში არ იყო დოკუმენტი (დაბადების მოწმობა), რაც დაადასტურებდა პროფესიული სტუდენტის წარმომადგენელის მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის კანონიერ უფლებას.

სასურველია, დაწესებულებამ გადახედოს პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის წესებს და პროცედურებს, დააზუსტოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისთვის საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი.

რაც შეეხება მიღებული განათლებისა და არაფორმალური განათლების აღიარებას, კოლეჯში არსებობს ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ, თუმცა განათლების აღიარების პროცედურა კოლეჯში ჯერ არ განხორციელებულა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა) იპ კოლეჯი „განთიადის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
2. ბრძ. N52, 27.06.2019, ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შსაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი“ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტს შემდგომი განათლებით. მასთან შეთანხმებით დაწესებულება სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შიდა მობილობის ფარგლებში ალტერნატიულ პროფესიაზე გადასვლას და/ან უზრუნველყოფს გარე მობილობით მის გადაყვანას იმ პროფესიულ დაწესებულებაში, რომელთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, თუმცა მსგავსი შემთხვევა დაწესებულებას ჯერ არ ჰქონია და შესაბამისად არც განხორციელებულა.
მენორანდუმის საფუძველზე დაწესებულება თანამშრომლობს შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან:

- სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“,
- სსიპ- "ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი",
- სსიპ - კოლეჯი ,,ოპიზარი“,
- სსიპ - პროფესიული კოლეჯი ლაკადა,
- სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“
- ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა) იპ კოლეჯი „განთიადის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
2. კოლეჯთან გაფორმებული მემორანდუმებით

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს რეგულაცია „მოდულური პროგრამების განსახორციელებლად კალენდარული გეგმის, შეფასების ინსტრუმენტის ფორმის, მოდულების შედეგების დამადასტურებელი თავსებადობის უწყისის ფორმის და უწყისის ფორმის დამტკიცების წესი", (ბრძ.№24,8.05.2019 წელი), რომლის შესაბამისად დამტკიცებულიაკალენდარული გეგმის, შეფასების ინსტრუმენტის, მოდულების შედეგების დამადასტურებელი თავსებადობის უწყისის და უწყისის ფორმები.

ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის" დირექტორის 2019 წლის 27 მაისის №26 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის" ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე" სქემის მიხედვით ითვალისწინებს: ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოებს, შედეგების შემოწმების ვადებს, კმაყოფილების კვლევას სხვადასხვა დაინტერესებული პირის გამოკითხვის საშუალებით. ასევე, გაუმჯობესების მიზნით ტრენინგების ჩატარების აუცილებლობის დადგენას. სასწავლო რესურსის (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სასწავლო მასალები და საბიბლიოთეკო ფონდი) პროგრამებთან შესაბამისობის დადგენას. აღნიშნული აქტივობების განხორციელების შემდეგ, ამ წესის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ უნდა განხორციელდეს: პროგრამებთან, სასწავლო გეგმებთან/სილაბუსებთან, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან და მატერიალურ რესურსებთან მიმართებით რეკომენდაციების შემუშავება და შესრულების მონიტორინგი. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების მიერ რაიმე დოკუმენტაცია არ იქნა წარმოდგენილი, რადგან ამ წესით შესაფასებელი პროგრამების განხორციელება ჯერ არ დასრულებულა.

ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის" დირექტორის 2019 წლის 3 ივნისის №38 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება" მასწვლებლების შეფასების კითხვარების, პროფესიული სტუდენტთა კითხვარების, მშობელთა კითხვარების და დამსაქმებელთა კითხვარების შესაბამისად. აღნიშნული კითხვარებით ჩატარებულია გამოკითხვები და შედეგები ასახულია დაწესებულების მიერ.

ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის" დირექტორის 2019 წლის 3 ივნისის №39 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მეცადინეობების შეფასების ფორმა", რომლის მიხედვითაც დაწესებულებას, უკვე დასრულებულ მოდულებზე ჩატარებული აქვს შეფასებები და გაწერილი აქვს რეკომენდაციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

ხარისხის მართვის მენეჯერის განმარტებით, რა თქმა უნდა, საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადრეც ფუნქციონირებდა ყველა ეს დოკუმენტი. ახალი წესდებით კოლეჯმა შეიცვალა სახელი და ეწოდა „ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი", რამაც განაპირობა დოკუმენტების ხელახლა გადამტკიცება, რაც წარმოდგენილი იქნა ექსპერტთა ჯგუფის წინაშე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბრძანება №38 03.06.2019;
- ბრძანება №39 03.06.2019;
- ბრძანება №24 08.05.2019;
- ბრძანება №26 27.05.2019
- შეფასების ფორმებით;
- გამოკითხვის ფორმებით;;
- ინტერვიუების საშუალებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება მდებარეობს ქალაქ გორში, ბესიკის ქუჩის N2, ორსართულიანი შენობის მეორე სართულზე. კოლეჯს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული აქვს ფართი სასწავლო მიზნით, გორის სასწავლო უნივერსიტეტისგან, რომლის მოქმდების ვადა იწურება 2019 წლის 21 აგვისტოს. ასევე ამავე უნივერსიტეტთან გაფორმებული აქვს მემორანდუმი-ფართით სარგებლობის შესახებ, საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით ჭონქაძის N3 -ში. რომლის მოქმედების ვადაა 2014 წლიდან 2019 წლის აგვისტომდე. დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაბაზე დაწესებულებას დაწყებული აქვს საქმის წარმოება. არსებული სასწავლო ფართი და ინვენტარი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

რეალიზაციისათვის, შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს საჭიროების მიხედვით, თუმცა არსებული მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, აღნიშნული ფართის ფლობის უფლება პროგრამების განხორციელების პერიოდისთვის აღარ ექნება კოლეჯს, თუ არ გაგრძელდა ხელშეკრულება.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1.	ქ. გორი ბესიკის ქ. N 2	1040

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება,
- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;
- ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი უძრავი ქონებით სარგებლობის შესახებ
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუირებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის სასწავლო ფართი და ინვენტარი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის, შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს საჭიროების მიხედვით. ყველა აუდიტორია აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, პროფესიული სტუდენტის მერხებით, სკამებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდით, სკამით. აუდიტორიებში ასევე განთავსებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

კარადები. სასწავლო ფართი სრულად აღჭურვილია ინვენტარით, რომელიც უზრუნველყობს 212 და მეტი პროფესიული სტუდენტის საჭიროების დაკმაყოფილებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საინვენტარიზაციო წიგნით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ასევე ყველა აუდიტორიას აქვს ბუნებრივი განათების მიღების შესაძლებლობა. სველი წერტილები განკუთვნილია როგორც გოგონებისთვის ასევე ვაჟებისთვის, ცალ-ცალკე 2-3 კაბინით. დაწესებულებაში დამონტაჟებული გათბობის სისტემა, რომელი ბუნებრივ აირზე მუშაობს, გადამოწმდა გადახდის ქვითრები და დავრწმუნდით, რომ დაწესებულებას უწყვეტად მიეწდება ელექტრო ენერგია, წყალი და ბუნებრივი აირი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ელექტროენერგიის, წყლის და ბუნებრივი აირის მოხმარების გადახდის ქვითრებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის ბიბლიოთეკა მდებარეობს სასწავლო უნივერსიტეტის შენობის პირველ სართულზე. 2014 წლის აგვისტოში, უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, კოლეჯს აქვს ამ ფართით სარგებლობის უფლება. ბიბლიოთეკაში ერთ სივრცეშია წიგნების საცავი და სამკითხველო(6 მაგიდით) ბიბლიოთეკის ფონდი შეადგენს **27 452** ერთეულს, აქედან 27 245 ბეჭდური, 207 ელექტრონულ მატარებლებზე არსებული. ბიბლიოთეკაში გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, თითოეულ მოდულში მითითებული ლიტერატურა. ყველა სახელმძღვანელო ადგილზე აღმოჩნდა, ზოგი ორიგინალია, ხოლო ზოგიერთი ამობეჭდილია ელექტრონული ვერსიიდან. ასევე სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსიები განთავსებულია ბიბლიოთეკაში. კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია, სამღებრო სამუშაოებთან დაკავშირებული ლიტერატურის ფერადი სახით დაბეჭვდის. ბიბლიოთეკაში განთავსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკაში გამოკრულია სარგებლობის წესი, ასევე შესასვლელთან მუშაობის გრაფიკი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- **ბიბლიოთეკის დებულებით ბრძ. N 3131.05.2019 ;**
- **ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით ბრძ. N 3231.05.2019;**
- **საგანმანათლებლო პროგრამების მოდულების დანართებით;**
- **ვიზუალური დათვალიერებით.**

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობასა და დაწესებულების მართვაში გამოიყენება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სასწავლებელი ჩართულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში https://evet.emis.ge/, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სტუდენტების, პედაგოგების და პროგრამების შესახებ. დაწესებულება ასევე ჩართულია საქართველოს განათლების , მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთიან ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემაში „eFlow", რომლის საშუალებით ხორციელდება დოკუმენტბრუნვა.
საგანმანათლებლო საქმიანობაში გამოიყენება 101 კომპიუტერი, 7 ლეპტოპი, 10 პროექტორი, 17 პრინტერი კლას–კაბინეტებსა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, ასევე გამართულია შიდა ქსელი. თითოეული აუდიტორია აღჭურვილია კომპიუტერით, პროექტორით, პრინტერით. პედაგოგებთან ინტერვუირებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ საინფორმაციო ტექნოლოგიებს, ელექტრონულ რესურსებს, რაც ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზით https://evet.emis.ge/.
- საინვენტარიზაციო წიგნით;
- შესყიდვის დოკუმენტებით;
- ინტერნეტის მიწოდებისთვის გაფორმებული ხელშეკრულებებით შპს "ახალ ქსელებთან" N124 28.12.2018; შპს „ჯეოსელთან" N24 02.03.2018; სს „სილქნეტთან" N122/1 26.12.2018;
- დომენის ხელშეკრულებით
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუირებით

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომლის შესაბამისად მიმდინარეობს საქმის წარმოება. ასევე უკვე რამოდენიმე წელია სარგებლობენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთიან ელექტრონულ ბაზით „eFlow". ადგილზე გადამოწმდა შემოსული და გასული კორესპოდენციები , ასევე ბრძანებები ელ. ბაზაში. დაწესებულებაში აწარმოებენ სარეგისტრაციო ჟურნალებს: ანბანურ წიგნს, ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალს, ბრძანებების წიგნს, დიპლომებისა და სერთიფიკატების გაცემის წიგნებს. აღნიშნული ჟურნალები გადანომრილია, ბოლო გვერდზე მითითებულია გვერდების რაოდენობა, რაც დასტურდება ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ წესების სრული დაცვით აწარმოოს აღნიშნული მკაცრი აღრიცხვის ჟურნალები, რაც გულისხმობს იმას, რომ ჟურნალები იყოს ზონარგაყრილი და დალუქული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთიან ელექტრონულ ბაზით „eFlow"
- საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანებით ბრძ. N 33 31.05.2019,
- კორესპოდენციებისა და გამოცემული აქტების რეგისტრაციის ჟურნალებით;
- დიპლომებისა და სერთიფიკატების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალებით
- ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალებით;

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში დაცულია პერსონალის და პროფესიული განათლების სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, სტენდი და ინვენტარი; ევაკუაციის გეგმაში მითითებულ ადგილას განთავსებულია ცეცხლმაქრები, რომლებიც გადამუხტულია 2019 წელს და ვადიანია. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა; არსებობს სამედიცინო პუნქტი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად; დამონტაჟებულია ვიდეომეთვალყურეობის სისტემა;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბრძანებებით ,კოლეჯში უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები, **ბრძანება N44 15.06.2018; ბრძანება N10 16.03.2017 ბრძანება N42 15.06.2018;**
- **ხანძარსაწინააღმდეგო სტენდით, ცეცხლმაქრებით;**
- **ევაკუაციის გეგმით;**
- **სამედიცინო პუნქტით;**
- **ხელშეკრეულება შ.პ.ს „იუნიტედ სეკურიტი"–ს 30.11.2011 ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟების შესახებ;**
- **ვიზუალური დათვალიერებით**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- □ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. კოლეჯის პირველ სართულზე შესასვლელთან არის კაპიტალურად მოწყობილი პანდუსი , ხოლო მეორე სართულზე გადასაადგილებლად სათადარიგო კიბეზე დამონტაჟებულია პანდუსი. ასევე მოწყობილია სველი წერტილი სსსმ პირთათვის, წესების დაცვით. სსსმ პირს თავისუფალი წვდომის შესაძლებლობა ეძლევა როგორც პირველ სართულზე-ბიბლიოთეკასთან ასევე მეორე სართულზე სასწავლო აუდიტორიებთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *ვიზუალური დათვალიერებით*

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- □ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებ გვერდის მისამართია: **www.gantiadi.ge** . ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია და იძლევა კომუნიკაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

შესაძლებლობას. ვებ გვერდზე ასევე განთავსებულია სხვადასხვა ინფორმაცია დაწესებულების მისია, სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, ერთწლიანი და ექვსწლიანი გეგმები, SWOT ანალიზი, პერსონალი, კატალოგი, კითხვარები სტუდენტებისთვის, მასწავლებლებლებისთვის, მშობლებისთვის, დამსაქმებლებისთვის, სამართლებრივი აქტები, ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, რაც დასტურდება მითითებული თარიღებიდან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- **ვებ–გვერდის www.gantiadi.ge ვიზუალური დათვალიერებით ;**
- **ხელშეკრულებით შპს ,,სერვ.ჯი "-სთან N 123 28.12.2018 წ.**

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი 2017-2022 წწ) და ერთწლიანი (2019წ) სამოქმედო გეგმები. გრძელვადიან და ერთწლიან გეგმაში მითითებულია მოდულური პროგრამების დამატება ინტენსიურად. შესაბამისი მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, რაც შესრულებულია მიმდინარე და დასამატებელ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით. გრძელვადიან სამოქმედო გეგმაში არ არის გამოკვეთილი კრიტერიუმები, რის მიხედვითაც გაიზომება მიღწეული შედეგები. დაწესებულებას ვებ გვერდზე განთავსებული აქვს 2019 წლის SWOT ანალიზი, შეფასებული აქვს ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და რისკები. თუმცა, გამომდინარე იმ ფაქტორიდან, რომ გრძელვადიან სტრატეგიაში არ ჩანს რომელ წელს რა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

კონკრეტული აქტივობა იყო დაგეგმილი და რა იქნებოდა შესრულების ინდიკატორი , რთულია შედარება და საერთო სურათის სწორად შეფასება.
შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია. სასურველია დაწესებულებამ მოიყვანოს შესაბამისობაში გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები და გაწეროს აღნიშნული გეგმებით გათვალისწინებული აქტივობების შეფასების ინდიკატორები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ერთწლიანი და ექვსწლიანი გეგმებით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებული და 2019 წლის 11 თებერვლის №5 ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგი. 2019 წლის 31 მაისის №34 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის" პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები", სადაც გაწერილია დირექცია/ადმინისტრაციის, მასწავლებლების და დამხმარე და ტექნიკური პერსონალის სამსახურში მიღებისათვის საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ამავე ბრძანებაში მითითებულია, რომ „პესონალის სამსახურში მიღების ან/და მიღებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნების საფუძველზე, ასევე, დირექტორი უფლებამოსილია პერსონალი მიიღოს გამოსაცდელი ვადით. 2019 წლის 31 მაისის №34 ბრძანების შესაბამისად დირექციის/ადმინისტრაციის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია: განათლება და სამუშაო გამოცდილების ქონა. მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია: „უმაღლესი ან პროფესიული განათლების კვალიფიკაცია, ან შესაბამისი პროფესიით მუშაობის 3 წლის გამოცდილება, სასურველია პედაგოგიური გამოცდილება".

სასურველია საკვალიფიკაციო მოთხოვნებში დაკონკრეტდეს განათლების საფეხური, სამუშაო გამოცდილების ხანრძლივობა და მიმართულება, ასევე ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის განთავსების ადგილი. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამსახურში აყვანის პროცესის მეტი გამჭვირვალობას, ვინაიდან პერსონალის შერჩევა არ ხორციელდება კონკურსის გზით და „საკვალიფიკაციო მოთხოვნებზე დაყრდნობით" გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი.

დაწესებულების პერსონალის შესახებ ინფორმაცია ასახულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

2019 წლის 3 ივნისის №36 ბრძანებით „ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის"თანამშრომელთა ფუნქციონალური უფლება-მოვალეობების განაწილების წესით" დაწესებულებას შემუშავებული აქვს თანმდებობრივი ინსტრუქცია პერსონალისთვის, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. აღნიშნული წესი მოიცავს ინფორმაციას მოვალეობების შესახებ. დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2019 წლის 11 თებერვლის №5 ბრძანება;
- 2019 წლის 31 მაისის №34 ბრძანება;
- 2019 წლის 3 ივნისის №36 ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

- პერსონალის პირადი საქმეები.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით დაწესებულებას 20 პროფესიულ სტუდენტზე ჰყავს პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი. მოქმედი და ახალი პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით დაწესებულებაში 32 პროფესიული განათლების მასწავლებელია და 160 პროფესიული სტუდენტი. პირადი საქმეების შესწავლით დადასტურდა მათი კვალიფიკაცია (უმაღლესი განათლება ან 3 წლიანი გამოცდილება ან პროფესიული კვალიფიკაცია).
სტუდენტთა და მასწავლებელთა თანაფარდობაა 160/32.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ დასტურდებოდა პროფესიული განათლების მასწავლებელის [redacted] საკვალიფიკაციო მოთხოვნა, კერძოდ: უმაღლესი განათლება ან 3 წლიანი გამოცდილება ან პროფესიული კვალიფიკაცია. ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი იქნა დოკუმენტი (შრომის წიგნაკის ჩანაწერი) რითაც დადასტურდა აღნიშნული პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნა.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ დასტურდებოდა პროფესიული განათლების მასწავლებელის თინათინ ჯაფარიძის საკვალიფიკაციო მოთხოვნა, კერძოდ: უმაღლესი განათლება ან 3 წლიანი გამოცდილება ან პროფესიული კვალიფიკაცია. ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი იქნა დოკუმენტი (შრომითი ხელშეკრულებები) რითაც დადასტურდა აღნიშნული პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნა.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ დასტურდებოდა პროფესიული განათლების მასწავლებელის [redacted] საკვალიფიკაციო მოთხოვნა, კერძოდ: უმაღლესი განათლება ან 3 წლიანი გამოცდილება ან პროფესიული კვალიფიკაცია. ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი იქნა დოკუმენტი (დიპლომის დანართი) რითაც დადასტურდა აღნიშნული პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნა.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ დასტურდებოდა პროფესიული განათლების მასწავლებელის [redacted] საკვალიფიკაციო მოთხოვნა, კერძოდ: უმაღლესი განათლება ან 3 წლიანი გამოცდილება ან პროფესიული კვალიფიკაცია. ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულების მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

დამატებით წარმოდგენილი იქნა დოკუმენტი (დიპლომის დანართი) რითაც დადასტურდა აღნიშნული პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პირადი საქმეებით;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზით https://evet.emis.ge/

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებთან დადებულია ძირითადად იდენტური ფორმისა და შინაარსის შრომითი ხელშეკრულებები/შეთანხმებები. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროფესიული განათლების მასწავლებლები არიან შტატგარეშე თანამშრომლები და მათთან ხელშეკრულების გაფორმება ხორციელდება მოდულის დასრულებამდე.
ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირ(ებ)თან დადებულ შრომით ხელშეკრულებებში/შეთანხმებებში დაზუსტებულია პროგრამა და მოდული, რომელსაც ახორციელებს ან შემდგომში განახორციელებს პირი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პირადი საქმეებით;
- გაფორმებული ხელშეკრულებებით/შეთანხმებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

ა)

№	პროგრამის დასახელება	როფესიული ანათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ვაქტობრივი რაოდენობა (ისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	სამღებრო სამუშაოების შესრულება	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვისსამუშაოებში 0732	58	73	ქართული	ქ.გორი, ბესიკის ქ.N2	7	24
2	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვისსამუშაოებში 0732	66	81	ქართული	ქ.გორი, ბესიკის ქ.N2	12	24
3	იატაკისა და ფილის სამუშაოები	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში 0732	82	97	ქართული	ქ.გორი, ბესიკის ქ.N2	0	48

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

4	სამკერვალო წარმოება	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში 0723	99	114	ქართული	ქ.გორი, ზესიკის ქ.N2	0	45
5	თმის მომსახურება	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში 1012	57	72	ქართული	ქ.გორი, ზესიკის ქ.N2	0	56

გ)

№	პროგრამის დასახელება	როფესიული ანათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)
1	მეფუტკრე	მესამე საფეხური	მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010353	71	86	ქართული	ქ.გორი, ზესიკის ქ.N2	6 პროფესიული სტუდენტი - გორი, ზესიკის N2

IX. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

29.07.2019
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი